რას უნდა შეიცავდეს განცხადება?

- განმცხადებლის სახელს, გვარს, პირად ნომერსა და ტელეფონის ნომერს;
- ბავშვის უფლებადარღვევის სავარაუდო ფაქტის მოკლე აღწერას;
- უფლებადარღვეული ბავშვის სახელს, გვარს, პირად ნომერს;
- უფლებადამრღვევი ორგანოს ან ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

როგორია განცხადების/საჩივრის განხილვის ვადები?

განცხადებები მიიღება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოქალაქეთა მისაღებში. ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი, რომელიც ბავშვის უფლების დარღვევის ფაქტზე რეაგირების მოთხოვნით, 10 დღის ვადაში, მიმართავს შესაბამის უწყებას. თავის მხრივ, აღნიშნული უწყება მოვალეა, ასევე 10 დღის განმავლობაში შეატყობინოს ბავშვის უფლებების დეპარტამენტს მიღებული ზომების შესახებ.

შეუძლია თუ არა სახალხო დამცველს სამართლებრივი დავის გადაწყვეტა?

სახალხო დამცველი სასამართლო დავაში არ ერთვება. მას მხოლოდ შეუძლია სასამართლოს მეგობრის (amicus curiae) წერილის გაგზავნა სასამართლოში.

არის თუ არა ბავშვის უფლებათა დეპარტამენტისთვის მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალური?

განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, დეპარტამენტი უზრუნველყოფს საკითხის შესწავლის სრულ კონფიდენციალობას.

თუ მიიჩნევთ, რომ დაირღვა ბავშვის უფლება, შეგიძლიათ მიმართოთ სახალხო დამცველს სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე:

1481

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

საქართველოს სახალხო დამცველის
ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი

საინფორმაციო ბროშურა

საქართველოს სახალხო დამცველი

თბილისი 2019

სახალხო დამცველის ოფისები

თბილისი
- დავით აღმაშენებლის გამზირი N150
- სადღეღამისო ცხელი ხაზი 1481

ბათუმი
- დუმბაძის N10
- 0422 27 60 32
- 577 50 52 31

ზუგდიდი
- მერაბ კოსტავას N58
- 0415 22 36 11
- 595 52 53 56

ოზურგეთი
- ილია ჭავჭავაძის N14
- 0496 27 30 53
- 599 49 48 59

გორი
- სამების ქ. N1
- 0370 27 05 49
- 551 66 14 77

ქუთაისი
- შოთა რუსთაველის N18
- 0431 25 33 50
- 577 55 33 81

ზემო სვანეთი
- მესტია, სეტის მოედანი N19
- 591 50 82 62

ახალქალაქი
- ილია ჭავჭავაძის N4
- 0362 22 32 83
- 591 96 88 82

მარნეული
- შოთა რუსთაველის N 51
- 0357 22 19 70
- 595 52 53 57

თელავი
- სააკაძის მოედანი N 1
- 0350 27 99 27
- 591 88 35 38

www.ombudsman.ge
info@ombudsman.ge
www.facebook.com/OmbudsmanofGeorgia/

ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი

ბავშვის უფლებების დაცვა სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

სწორედ ამ მიზნით, 2001 წლიდან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირებს ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურულ ერთეულს.

დეპარტამენტი თავისი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებს საქართველოს სახალხო დამცველის სახელით.

დეპარტამენტის მიზანია:

ბავშვის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების მონიტორინგი და დარღვევებზე ეფექტური რეაგირება.

დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია:

- ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის ინდივიდუალური და სისტემური ხასიათის დარღვევების შესწავლა და მათზე ეფექტური რეაგირება;
- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის, ბავშვის უფლებათა კოდექსის, ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით არსებული სხვა ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა საქართველოში ბავშვის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების პოპულარიზაციისთვის.

დეპარტამენტის ფუნქციებია:

- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელების ხელშეწყობა შესაბამისი რეკომენდაციების, ანგარიშების მომზადების და განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობის გზით;
- სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ ბავშვის უფლებათა ცალკეულ დარღვევებთან დაკავშირებული განცხადებებს/საჩივრების, ასევე, საკუთარი ინიციატივით დაწყებული საქმეების შესწავლა და რეაგირება, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება და მათი შესრულების ეფექტიანი მონიტორინგი;
- ბავშვზე ზრუნვის განმახორციელებელი და მხარდამჭერი პროგრამების, ინსტიტუციებისა და უწყებების, აგრეთვე, ბავშვის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული ეროვნული პროგრამების, კანონმდებლობისა და პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და ცვლილებების ადვოკატირება;
- სპეციალური და თემატური ანგარიშების მომზადება ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და მათი შესრულების მონიტორინგი;
- სახალხო დამცველის საქმიანობაში ბავშვთა მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის შესაბამისი ფორმატების განვითარება და ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ტრენინგების, სემინარებისა და სწავლებების ორგანიზების გზით;
- ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხებზე ადგილობრივ და საერთაშორისო უფლებადაცვით მექანიზმებთან თანამშრომლობის გაძლიერება.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაინტერესებულ პირთათვის გაწეული სამსახური უფასოა.

ვის შეუძლია მიმართოს ბავშვის უფლებათა დეპარტამენტს?

- ბავშვს, რომლის უფლებებიც დაირღვა, ასევე, ამ ბავშვის მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს ან ნათესავს;
- ნებისმიერ მესამე პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ ბავშვის უფლებების დაირღვა.

როგორ მივმართოთ ბავშვის უფლებათა დეპარტამენტს?

- ბავშვის უფლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით განცხადების შემოტანა შესაძლებელია სახალხო დამცველის აპარატის ცენტრალურ ან შესაბამის რეგიონულ ოფისში. ასევე შესაძლებელია განცხადების გამოგზავნა რეგულარული ან ელექტრონული ფოსტით. გარდა ამისა, განცხადების შედგენა შესაძლებელია აპარატში მოსვლისას;
- მოქალაქეს შეუძლია, ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტი სახალხო დამცველის აპარატს შეატყობინოს ცხელი ხაზის ან აპარატის რეგულარულ სატელეფონო ნომერზე.